



2022

წელი

შპს გურამ თავართქილაძის  
სახელობის თბილისის  
სასწავლო უნივერსიტეტი

გთუნი-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის  
ანგარიში

## I. შესავალი

გთუნის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის(ხუს) 2022 წლის ანგარიში წარმოადგენს შემაჯამებელ დოკუმენტს, რომელშიც ასახულია საანგარიშო პერიოდში ხუსის მიერ ჩატარებული გთუნის ყოველწლიური შეფასების შედეგების საფუძველზე შემუშავებული რეკომენდაციები, მიმართული უნივერსიტეტის საქმიანობაში არსებული ხარვეზების/სუსტი ადგილების გამოსწორებაზე.

წინამდებარე ანგარიში შემუშავდა შემდეგი დოკუმენტების საფუძველზე:


1. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა;
2. გთუნი-ში განხორციელებული გარე შეფასებები;
3. გთუნიში განხორციელებული შიდა შეფასება; გამოკითხვების შედეგები, ანალიზი, რეკომენდაციები;
4. 2022 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები, ანალიზი;
5. გთუნი-ს სტრუქტურული ერთეულების გეგმური მონიტორინგი/ანგარიშები.

## II. 2022 წელს გთუნი-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები

2022 წელს (აპრილი-დეკემბერი) გთუნი-ში ჩატარდა შემოწმება/გამოკითხვები ინსტიტუციურ და სტრუქტურული ერთეულების დონეზე. შემოწმება დაკავშირებული იყო როგორც გეგმიურ, ასევე არაგეგმიურ შეფასებებში. არაგეგმიური შეფასება გამოწვეული იყო გთუნიში მიმდინარე ოპტიმიზაციის პროცესებით ასევე ახალი დამფუძნებლის შემოსვლით. ახალი ხედვიდან გამომდინარე, საჭირო გახდა გთუნის მისიის და მიზნების ცვლილება, სტუდენტთა კონტიგენტის გაზრდის და ახალი პროგრამების განხორციელების უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტის შესაძლებლობების შესწავლა, შესაბამისი ორგანიზაციული სტრუქტურის შემუშავება;

გეგმიური შეფასების მიზანს წარმოადგენდა უნივერსიტეტის ავტორიზაციის გეგმური მონიტორინგი; გთუნი-ში არსებული პროგრამების მონიტორინგი. კერძოდ: სამართლის მიმართულებით საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების (სამართალი; სისიხლის სამართალი; კერძო სამართალი), ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით საბაკალავრო და სამაგისტრო (ბიზნესის ადმინისტრირება, ტურიზმი, საერთაშორისო ბიზნესის ადმინისტრირება, საბანკო საქმის, სოციალური მეცნიერებების მიმართულებით ჟურნალისტიკის საბაკალავრო და მასობრივი კომუნიკაციის სამაგისტრო პროგრამების, ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის, ავტორიზაციის შუალედური ანგარიშის მოსამზადებლად არსებული მდგომარეობის შესწავლა, აკრედიტაციის და ავტორიზაციის ექსპერტთა რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი, ცვლილებების განხორციელება.

გთუნის ხარისხის უზრუნველყოფა მიიღწევა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის უწყვეტობით, რომლის მთავარი ბერკეტი ხარისხის შეფასებაა.



2022 წელს გთუნის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობის ძირითადი მიართულებები იყო:

1. ინსტიტუციური მექანიზმების დახვეწა;
2. აკრედიტაციისათვის ახალი პროგრამების მომზადება(ბიზნესის ადმინისტრირება; ტურიზმი);
3. გთუნის ავტორიზაციის პირობების შემოწმების მიზნით თვითშეფასების (შუალედური) ანგარიშის მომზადება;
4. ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამებზე; “საბანკო საქმე; მასობრივი კომუნიკაცია” და სამართლის ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამაზე, “კერძო სამართალი”, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის პირობების შემოწმების მიზნით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების თვითშეფასების ანგარიშის მომზადება;
5. საგანმანათლებლო პროგრამების შიდა შეფასება;
6. სტუდენტზე ორიენტირებული სწავლა-სწავლებისა და მხარდაჭერის მექანიზმების შეფასება;
7. აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის საქმიანობის შეფასება
8. მართვის ეფექტიანობის შეფასება;
9. კვლევისა და ინტერნაციონალიზაციის შეფასება;
10. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსების შეფასება;
11. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შეფასება

2022 წლის საქმიანობის ანგარიში შემუშავდა 2021 წლის შესრულებული სამუშაოების შედეგების საფუძველზე, რომელთაგან სამუშაოების გარკვეული ნაწილი შესრულდა, მაგრამ ჯერ ისევ საყურადღებოა 2021 წლის გეგმური მონიტორინგისა და თვითშეფასების ანგარიშში მითითებული რიგი რეკომენდაციები, კერძოდ:

	რეკომენდაცია	შედეგი
1	მოხდეს მისიის და სტრატეგიის ბიუჯეტთან უფრო მეტი თავსებადობა და გამჭვირვალობა;	გთუნის მდგრადობა
2	გაუმჯობესდეს მართვისა და ანგარიშვალდებულებების მექანიზმი	მართვის ეფექტიანობის გაუმჯობესება
3	მოხდეს კვლევების ინტერნაციონალიზაცია	

	მოხდეს ცოდნის კომერციალიზაცია, ერთობლივი კვლევების განხორციელებით და დაინტერესებული მხარეების ჩართულობით	ცოდნის გამოყენებისა და პარტნიორებთან ურთიერთობის გაფართოება
4	გაფართოვდეს პერსონალისა და სტუდენტების ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით საქმიანობა	საერთაშორისო ცნობადობის ამაღლება
5	უნდა მოხდეს შრომის ბაზრის მოთხოვნების მოთხოვნების პერმანენტულად შესწავლა	პროგრამების მდგრადობა
6	განხორციელდეს სტუდენტების საუნივერსიტეტო ცხოვრებაში უფრო მეტად ჩართვა	გთუნის ცნობადობის ამაღლება
7	უნდა გაიზარდოს საქმიანობა სტუდენტების კარიერული მართვის კუთხით	უნივერსიტეტის ცნობადობის ამაღლება
8	საჭიროა გაიზარდოს სტუდენტების ჩართულობა ხარისხის გაუმჯობესებაში	პროგრამებისა და გთუნის საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესება
9	საჭიროა გაიზარდოს პერსონალის ჩართულობა ხარისხის გაუმჯობესებაში	პროგრამებისა და გთუნის საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესება
10	უნდა მოხდეს სტუდენტთა თვითმმართველობის მიერ სტუდენტური ცხოვრების გამრავალფეროვნება	გთუნის ცნობადობის ამაღლება
11	გაიზარდოს სტუდენტთა ჩართულობა კვლევით საქმიანობაში	კვლევითი პოტენციალის ზრდა
12	მოხდეს სპეციალური საჭიროების მქონე სტუდენტებისათვის ადაპტირებული გარემოს განვითარება;	მართვის ეფექტიანობის ამაღლება
13	შემუშავდეს პერსონალის სამეცნიერო კვლევებით დაინტერესების მექანიზმი	კვლევების სამეცნიერო პოტენციალის ზრდა
14	მოხდეს პერსონალის მოტივაციის ყველა მექანიზმის აქტიურად გამოყენება	მართვის ეფექტიანობის ამაღლება
15	განხორციელდეს აქტივობები პერსონალის პროფესიული განვითარებისათვის	მართვის ეფექტიანობის მაღლება
16	განახლდეს კომპიუტერული ბანკი და ოპერაციული სისტემა	მართვის ეფექტიანობის ამაღლება
17	უნდა მოხდეს პროგრამების ხარისხის უფრო მეტად განვითარება	ხარისხის გაუმჯობესება

### III. 2022 წელს გთუნში განხორციელებული საქმიანობა

გთუნის მარეგულირებელი დებულებების რელევანტურობა გთუნის სტრუქტურასთან.

2022 წელს განხორციელდა გთუნის მარეგულირებელი და მეთოდოლოგიური დოკუმენტების გადახედვა და შესაბამისი ცვლილებების გამხორციელება. უნივერსიტეტის მისიის და სტრუქტურის ცვლილება, რომელიც ახალ დამფუძნებლის შემოსვლასთან იყო დაკავშირებული, განაპირობებდა რიგი მარეგულირებელი დოკუმენტების ცვლილებას. ამდენად, მოხდა რიგი დოკუმენტების ახლით შეცვლა. უმრავლეს მათგანში კი მოხდა ცვლილებების შეტანა. ახალი დოკუმენტების დამტკიცება მოხდა შესაბამისად ახალი რედაქციით, ხოლო ცვლილებების შემთხვევაში დამტკიცდა ცვლილებების შეტანა შესაბამის დოკუმენტებში. დღეისათვის ყველა მოქმედი დოკუმენტი რელევანტურია და არეგულირებს გთუნის საქმიანობას ყველა მიმართულებით, ისინი მიმართულია გთუნის სტრატეგიის შესრულებისკენ.

**გარე შემფასებლების მიერ განხორციელებული შემოწმების შედეგების შფასება**

2022 წლის 12-13 დეკემბერს განხორციელდა გთუნის ავტორიზაციის გეგმური მონიტორინგზე ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი. ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო გთუნის დოკუმენტაციას, დაათვალიერა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, შეხვდა უნივერსიტეტის პარტნიორს - ჩინეთის საერთაშორისო განათლების ჯგუფის პრეზიდენტს, გთუნის ადმინისტრაციას, მმართველის საბჭოს წარმომადგენლებს. ექსპერტთა ჯგუფი ასევე გაესაუბრა აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლებს, სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს, დამსაქმებლებს, გთუნის ფაკულტეტებისა და სამსახურების წარმომადგენლებს. 2023 წლის 21 თებერვალს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭომ განიხილა ექსპერტთა დასკვნა შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის გეგმური მონიტორინგის შედეგების შესახებ და მიიღო გადაწყვეტილება წარმოების შეწყვეტის შესახებ.

**ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარებული შიდა შემოწმების შედეგები**

2022 წელს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განხორციელებულ შიდა შემოწმებაში მონაწილეობდა ყველა სტრუქტურული ერთეული, პროგრამის ხელმძღვანელები, სტუდენტები, აკადემიური და მოწვეული პერსონალი, დამსაქმებელი.

შიდა შემოწმების მიზანს წარმოადგენდა:

- მატერიალურ-ტექნიკური რესურსების გამოყენება;
- სგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობა;
- სწავლა/სწავლება;
- მართვის სისტემის ეფექტიანობა;

შემოწმების კომპონენტები შემდეგნაირად გამოიყურება:

შეფასების ობიექტი	შინაარსი	პერიოდულობა
<b>გთუნის ინსტიტუციური შფასება</b>		
<b>ზოგადი მახასიათებლები</b>	ინფრასტრუქტურის, აღჭურვილობის, ბიბლიოთეკის რესურსების მდგომარეობა სტუდენტთა ცვლილების დინამიკა, მარეგულირებელი დოკუმენტების რელევანტურობა; დაინტერესებულ პირთა გამოკითხვა; პრობლემის შესწავლა; რეკომენდაციები	ერთხელ
<b>სტრუქტურული ერთეულების ფუნქციონირება</b>	სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის, ხელმძღვანელის მმართველობითი უნარების, საქმიანობის ეფექტიანობის დადგენა; სტრუქტურული ერთეულების ინფორმაციის შესწავლა; სტუდენტების, პერსონალის შფასება/გამოკითხვა; პრობლემის შესწავლა, რეკომენდაციები;	ერთხელ
<b>გთუნის მართვა</b>	გთუნის მართვის ეფექტიანობა, გადაწყვეტილების მიღების ოპერატიულობა, ობიექტურობა და გამჭვირვალობა, გადაწყვეტილებების დროულად შესრულება. სტუდენტებისა და პერსონალის გამოკითხვა, პრობლემის შესწავლა	ერთხელ

<b>გთუნის საქმიანობის შიდა ნორმატიული ბაზა</b>	მოქმედ კანონმდებლობასთან შიდანორმატიული მარეგულირებელი ბაზის შესაბამისობის დადგენა; სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების მოსაზრებები	ერთხელ; გამონაკლის შემთხვევებში საჭიროების შესაბამისად
<b>განვითარების სტრატეგიის შესრულება</b>	2022 წლის სამოქმედო გეგმის მონიტორინგი; სამსახურების მიერ სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები; სამოქმედო გეგმის შესრულების ეფექტიანობა; სამსახურების შესრულების შედეგების შესწავლა, რეკომენდაციები	ერთხელ
<b>კვლევითი საქმიანობა</b>		
<b>აკადემიური პერსონალის და სტუდენტთა კვლევითი საქმიანობა</b>	სამეცნიერ-კვლევითი ნაშრომები, კონფერენციებში მონაწილეობა, ინფორმაცია სამაგისტრო ნაშრომების სედეგების შესახებ; ადმინისტრაციული ხელშეწყობის შესწავლა. გამოკითხვები, რეკომენდაციები	ერთხელ
<b>საგანმანათლებლო საქმიანობა</b>		
<b>პროგრამების განხორციელებისა დღის საჭირო რესურსები (ადამიანური, მატერიალურ-ტექნიკური)</b>	სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შედეგები; ყველა მონიწილის მიხედვით პროგრამის შეფასების შედეგები; განმახორციელებლების კვალაღიფიკაცია; სასწავლო პროცესის უწყვეტობა; აკადემიური მოსწრება; რესურსების შეფასება საბიბლიოთეკო რესურსი, სწავლა-სწავლების პროცესის ანალიზი; რეკომენდაციები	ორჯერ
<b>სასწავლო პროცესის უზრუნველყოფა</b>	აკადემიური კალენდრის, მეცადინეობების/კონსულტაციების, ცხრილების, სტუდენტთა საკონტაქტო დატვირთვა, სტუდენტთა მხარდაჭერის სერვისების მისაწვდომობა; გამოკითხვები, ანალიზი, რეკომენდაციები; სილაბუსებთან შესაბამისობის შესწავლა;	ორჯერ
<b>საგანმანათლებლო პროგრამები</b>	პროგრამების შინაარსის სტანდარტებთან და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობა; პროგრამის სილაბუსების შინაარსობრივო და ტექნიკური შემოწმება; დაინტერესებული მხარეების გამოკითხვა; ანალიზი, რეკომენდაციები	ერთხელ
<b>ინტერნაციონალიზაცია</b>	გაცვლითი პროგრამების რაოდენობა, გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის მსურველ აკ.პერსონალის/სტუდენტთა რაოდენობა; გაცვლით პროგრამებში მონაწილე აკ.პერსონალის/სტუდენტთა რაოდენობა; ანალიზი, რეკომენდაციები	ერთხელ

შიდა შეფასებისას დიდი ყურადღება დაეთმო დაინტერესებული მხარეების გამოკითხვას, მათი მოსაზრებების შესწავლას. პირველადი მოკვლევის შედეგებს ეცნობიან პროგრამის ხელმძღვანელები, ფაკულტეტები, რომელთა მიერაც ხდება რეკომენდაციების უზრუნველყოფა. საპრეზენტაციო მასალასთან მუშაობას ახორციელებს ხარისხის სამსახური, საჭიროების შემთხვევაში სრუქტურულ ერთეულებთან ერთად. მუშაობა ხორციელდება "PDCA" ციკლს მიხედვით, რაც პროცესების მაჩვენებლების გაუმჯობესების მიზნით, გულისხმობს პროცესების მუდმივ კონტროლს (უკუკავშირს) და გაზომვას.

2022 წელს გთუნის სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის შემოწმების შედეგები და რეკომენდაციები:

№	სტრუქტურული ერთეულები	გასაუმჯობესებელი მხარეები	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის რეკომენდაცია
1	მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახური	სპორტული დარბაზის და მოედნის მოწყობა; კორპუსის ინტერიერის განახლება და მოდიფიცირება; უნივერსიტეტის ტერიტორიის ლანშაფტის დიზაინის განახლება	შენობის ექსტერიერისა და ინტერიერის შეცვლა; აუდიტორიების დიზაინის შეცვლა და თანამედროვე ინვენტარით აღჭურვა; სასწავლო აუდიტორიებისა და ლაბორატორიების ტექნოლოგიური აღჭურვა; უცხოელი სტუდენტებისათვის საერთო საცხოვრებლის მშენებლობა; უცხოელი სტუდენტებისათვის მიკრო ინფრასტრუქტურის შექმნა; სასწავლო და ადმინისტრაციული კორპუსების გამოყოფა; ლაბორატორიებისა და კლინიკების ტექნოლოგიური განახლება; უნივერსიტეტის შენობაში და გარეთ სტუდენტური დასასვენებელი/სამუშაო სივრცეების მოწყობა; საუნივერსიტეტო კაფეტერია-სასადილოს მოწყობა ორი სივრცით - სტუდენტებისათვის და პერსონალისათვის; ლოგისტიკა; სველი წერტილების განახლება; ზამთრის პერიოდში ცხელი წყლის უზრუნველყოფა; საზაფხულო კაფეტერიის მოწყობა; მოხდეს სტადიონის რეკონსტრუქცია(მრავალპროფილიანი ფუნქცია) და დამონტაჟდეს სკამები გულშემატკივრებისათვის; უზრუნველყოფილ იქნას ინტერნეტის შეუფერხებელი წვდომა უნივერსიტეტის შიდა და გარე პერიმენტრზე; ლაბორატორიებში განახლდეს ტექნოლოგიები, აპარატურა,; აუდიტორიებში შეიცვალოს განათება; ბიბლიოთეკის სივრცე გახდეს სრულად გამოყენებადი; ფორს-მაჟორული სიტუაციებისათვის დამატებითი კვების წყაროს უზრუნველყოფა; ინვენტარიზაციის პროცესის გაგრძელება, კონტროლი მოწყობილობების დროული აღდგენის, მოდერნიზებისა და რენოვაციისათვის; შედეგების ანალიზი, რეკომენდაციების შემუშავება
	მარკეტინგის სამსახური	მასობრივ საინფორმაციო საშუალებებში უნივერსიტეტის აქტივობების, სიახლეების გაშუქება და სარეკლამო საქმიანობის გააქტიურება;	უნივერსიტეტის საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართულობის ზრდა; სკოლებში უნივერსიტეტის პერსონალის მიერ პროფესიული საჯარო ლექციების ჩატარება;

2		<p>აბიტურიენტების მოზიდვის კამპანიის გაფართოება; სახელისუფლებო სტრუქტურებთან, არასამთავრობო და სხვადასხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთობლივი პროექტების დაგეგმვა/განხორციელება; ადგილობრივ თუ რეგიონალურ აქტივობებში ჩვენი მონაწილეობა; მარკეტინგულ აქტივობებზე შესაბამისი(რეალური) ბიუჯეტების უზრუნველყოფა</p>	<p>განათლების საერთაშორისო დღეებში მონაწილეობა; უნივერსიტეტის ვებ გვერდის დიზაინის და სტრუქტურის შეცვლა; ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი გვერდების ინფორმაციის სრულ შესაბამისობაში მოყვანა.</p> <p>მარკეტინგის სამსახურის შედეგების ანალიზის განხორციელება, რეკომენდაციების შემუშავება; საჭიროა შედარდეს, მიმდინარე პერიოდში მოცემული აქტივობების შედეგად სტუდენტთა გთუნი-ში ჩარიცხვის ასევე, მობილობის მაჩვენებლები, ამავე ღონისძიებების შედეგად წინა პერიოდში სტუდენტთა გთუნი-ში ჩარიცხვის, მობილობის მაჩვენებლებთან; გაანალიზდეს,თუ რომელი აქტივობის შედეგად უფრო მეტი სტუდენტის მიღება მოხდა რის შემდეგაც, უნდა მოხდეს მომავალი წლის მარკეტინგული აქტივობების დაგეგმვა;</p>
3	საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური	სტუდენტებში უცხოენების ცოდნის დაბალი დონე	<p>საერთაშორისო პარტნიორებთან გაფორმებულიხელშეკრულებების/მემორანდუმების რეალურად ამოქმედება(ქმედუნარიანობა); გაცვლითი პროექტებით/პროგრამების სტუდენტებისა და პროფესორების დაინტერესება; მათი ფინანსური უზრუნველყოფის საკითხების ორმხრივ შეთანხმება და გაცვლით პროექტებში/პროგრამებში უნივერსიტეტის წილობრივი მონაწილეობის ზრდა;</p> <p>საზაფხულო და ზამთრის სკოლების პრაქტიკაში დანერგვა/ამოქმედება;</p> <p>გაგრძელდეს დინამიკაში სამსახურის მუშაობის შედეგების ანალიზი; რეკომენდაციების შემუშავება</p> <p>გთუნი-ს ახალი კურსიდან გამომდინარე, აზიის ქვეყნებთან (ჩინეთი, კორეა) აკადემიური თანამშრომლობის დამყარება;</p> <p>ინტერნაციონალიზაციისთვის გამოყოფილი ფინანსური რესურსების გაზრდა;</p> <p>საერთაშორისო პროექტებისა და კავშირების სამართავად საჭირო ადამიანური რესურსების ზრდა;</p> <p>გთუნი-ს აკადემიური პერსონალის რიგებში უცხოელი პროფესორების რაოდენობის გაზრდა;</p>



			საუკეთესო გამოცდილების გაზიარების და დანერგვის მიზნით, ხარისხის სამსახურთან ერთად საერთაშორისო უნივერსიტეტების ხარისხის სამსახურებთან ურთერთთანამშრომლობა;
4	საფინანსო სამსახური	ფინანსური უზრუნველყოფა მდგრადობის	აუცილებელია გარე აუდიტორის/აუდიტორული კომპანიი მიერ გთუნის ფინანსური აუდიტის ჩატარება და აუდიტის დასკვნის შესაბამისად საჭირო ღონისძიებების გატარება; ფინანსური მდგრადობისათვის, გარდა პარტნიორის ფინანსური რესურსებისა, დაფინანსების სხვადასხვა წყაროების მოძიება/გაფართოება; 2023 წლისათვის ფაკულტეტებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან მჭიდრო კონტაქტისა და ერთობლივი მუშაობის შედეგად ფაკულტეტისა და პროგრამების ბიუჯეტების კორექტირება; ასევე,ახალი საგანმანათლებლო პროგრამების ბიუჯეტის შემუშავება; მოხდეს ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის შეფასება, რეკომენდაციების შემუშავება
5	სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის და კარიერული მხარდაჭერის სამსახური	არ გამოიკვეთა	პერმატეტულად მოხდეს დამსაქმებლის ბაზის განახლება/გაფართოება; ამაღლდეს უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის ქმედუნარიანობა; შეიქმნას შემოქმედებითი მიმართულებით სტუდენტური კლუბები/გუნდები, მოხდეს მათი ჩართულობა სტუდენტურ დღეებში, ადგილობრივ და საერთაშორისო სტუდენტურ ღონისძიებაში; გაღრმავდეს გთუნის სტუდენტური თვითმმართველობის კავშირები სხვა უნივერსიტეტების სტუდენტურ თვითმმართველობებთან, განხორციელდეს ერთობლივი ღონისძიებები; მოეწყოს გასვლითი კონფერენციები; ოლიმპიადები, კონკურსები; გაგრძელდეს სამსახურის საქმიანობის შეფასება, რეკომენდაციების შემუშავება
			პროცესების გაციფრულებისთვის ლოკალური და გლობალური ქსელების უწყვეტობის უზრუნველყოფა; ქსელის გაძლიერება; არსებული ტექნოლოგიური ბაზის მოდერნიზება, არსებული

6	IT სამსახური	<p>ინტერნეტთან უწყვეტად მოწოდება; საგამოცდო პროცესისათვის მომზადება; კომპიუტერული ტექნოლოგიების კონტროლი;</p>	<p>სტაციონალურ კომპიუტერებზე Windows 10 ჩატვირთვა, ან ახალი კომპიუტერების შექმნა; საგამოცდო ცენტრისთვის დამატებითი ტექნოლოგიური აღჭურვილობის შექმნა; სხვადასხვა მიმართულებით პრაქტიკული კურსებისათვის პროგრამული პაკეტების შექმნა და ამოქმედება;</p> <p>ლექტორებისა და სტუდენტებისათვის საერთაშორისო სამეცნიერო ბაზების წვდომის, ელ. წესით გამოცდების ჩატარების, ელ. ჟურნალის წარმოებისა და მათზე მასალების განთავსების შესახებ ვიდეო მასალის/გზამკვლევის მომზადება.</p> <p>ფინანსურ სამსახურთან ერთად, პერმანენტულად გაგრძელდეს სამსახურის მიერ სამუშაოების შედეგების გაანალიზება, ბიუჯრტირება რეკომენდაციების შემუშავება; რეკომენდაციების შედეგები</p>
7	ბიბლიოთეკის სამსახური	<p>წიგნადი ფონდის კოლექციების გამოხშირვა, ამოღებასა და შენახვის პროექტს. რომლის მიზანია მორალურად გაცვეთილი, დაზიანებული და სასწავლო-კვლევითი პროცესისათვის გამოუსადეგარი წიგნების აღწერა-ჩამოწერა. სასწავლო რესურსების განვითარება, სასწავლო რიდერების, სალექციო კურსებით საბიბლიოთეკო ფონდის დაფართოება/გაზრდა;</p>	<p>არსებული ფონდის შეფასება, აუდიტი, მოვლა, შენახვა, გამდიდრება, ანალიზი, აღწერა ; რესურსების განახლება, შესყიდვა, გაზიარება, საჩუქრები;</p> <p>მომხმარებლის მოთხოვნილებების შეფასება და ადეკვატური შესყიდვის დაგეგმვა-განხორციელება;</p> <p>ელექტრონული რესურსების განვითარება; საავტორო უფლებების დაცვა; საბიბლიოთეკო ფონდის გაციფრულების გაგრძელება; ელექტრონულ საბიბლიოთეკო რესურსებისა და საერთაშორისო სამეცნიერო ბაზების მოხმარებაზე ტრენინგების განხორციელება;</p> <p>ბიბლიოთეკის სივრცე გახდეს სრულად გამოყენებადი; შემოქმედებითი გარემოს შესაქმნელად სტუდენტებისა და პერსონალის მუშაობისათვის გაიმიჯნოს სივრცეები;</p> <p>გაკეთდეს კონდიციონერების სისტემა; უზრუნველყოფილ იქნას ინტერნეტის უწყვეტად მიწოდება;</p> <p>გაფართოვდეს წიგნების საცავი</p>
		<p>ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში სტუდენტთა(ბაკალავრიატი, მაგისტრატურა) მონაწილეობის და მოტივაციის ზრდა;</p>	<p>გაგრძელდეს აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო აქტივობების შესწავლა, ანალიზი და რეკომენდაციები;</p> <p>სამსახურის მიერ გაწეული საქმიანობის ამსახველი მტკიცებულებების მატერიალური</p>

8	კვლევების ხელშეწყობის სამსახური	უნივერსიტეტის გახორციელებული კონფერენციების გააქტიურება მიერ	ფორმით არსებობა; (ჩატარებული შეხვედრების ამსახველი დოკუმენტები: შეხვედრაზე დამსწრე პირთა აღრიცხვა და დადასტურება; მიმდინარე კვლევითი პროექტების გახორციელების მატერიალური მასალა; შიდა საგრანტო პროექტების დაფინანსების გაზრდა; კვლევითი ცენტრის შექმნა სათანადო პერსონალის უზრუნველყოფით (მეცნიერ თანამშრომლები) საერთაშორისო კონფერენციების განხორციელებაში/მონაწილეობაში უნივერსიტეტის ხელშეწყობა; გთუნის მიერ ადგილობრივი და საერთაშორისო კონფერენციების ჩატარება, გაგრძელდეს კვლევითი ხელშეწყობის სამსახურის საქმიანობის კმაყოფილების კვლევა; შედეგების ანალიზი და რეკომენდაციები; რეკომენდაციების განხორციელების შედეგები.
9	სასწავლო პროცესების მართვის სამსახური	არ იკვეთება	გაგრძელდეს სასწავლო პროცესის უწყვეტად წარმართვისათვის, აკადემიური კალენდარის, სასწავლო და საგამოცდო ცხრილების დროული შემუშავება; გეგმა B - დისტანციური და ჰიბრიდული სწავლებისათვის სასწავლო კურსის შექმნა; საგამოცდო ცენტრის შექმნა და მისი საჭირო რესურსებით უზრუნველყოფა; პროცესის მონიტორინგი, პრობლემის გამოვლენა და რეაგირების მექანიზმების განხორციელება. რეაგირების შედეგები
10	ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტი	სტუდენტთა აკადემიური მოსწრების გაუმჯობესება; საკონსულტაციო მომსახურებისა და ტუტორიალის მექანიზმების გააქტიურება	გაგრძელდეს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მაჩვენებლების მონიტორინგი; გაგრძელდეს ლექციებზე კოლეგიალური დასწრება და ყურადღება გამახვილდეს სტუდენტების აქტიურობაზე, განსაკუთრებით უცხო ენაში; მოხდეს ტუტორიალის რეალურად ამოქმედება; სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ამაღლების და სილაბუსებთან თავსებადობის მიზნით, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ, მოხდეს შუალედური და ფინალური გამოცდების საკითხების მონიტორინგი; ინსტიტუციური ავტორიზაციისა და პროგრამული აკრედიტაციის მოთხოვნების შესაბამისად, მოხდეს ლაბორატორიების

			<p>ხელმძღვანელების მიერ ანგარიშების წარმოდგენა. დაინიშნოს ფაკულტეტის "სასწავლო ინკუბატორის" ხელმძღვანელი; გაგრძელდეს პროგრამების მონიტორინგი და მათი განვითარება მოთხოვნების შესაბამისად; პრაქტიკაში დაინერგოს საგანმანათლებლო პროგრამების კოლეგიალური ექსპერტიზა/შეფასება, როგორც ადგილობრივი სპეციალისტების, ასევე საერთაშორისო პარტნიორი უნივერსიტეტების წარმომადგენლების მიერ; საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების დაცვებზე დაინერგოს გარედან მოწვეული პირის თავმჯდომარეობა; შემუშავდეს ერთობლივი და ორმაგი დიპლომის საგანმანათლებლო პროგრამები; გაგრძელდეს გასვლითი სექცია-სემინარების პრაქტიკა; გაგრძელდეს მუშაობა უნივერსიტეტში მაღალი სწავლის პოტენციალის მქონე აბიტურიენტებისა და მაგისტრანტობის კანდიდატების მოზიდვის კუთხით; ფაკულტეტებმა დაგეგმონ და განახორციელონ სათანადო ღონისძიებები როგორც საბაკალავრო, ისე სამაგისტრო საფეხურზე პროგრამის დასრულების მაჩვენებლის ამაღლების მიზნით; პრობლემების გამოვლენა, რეაგირების მექანიზმების შემუშავება; რეაგირების შედეგები</p>
11	სამართლის ფაკულტეტი	<p>სტუდენტთა აკადემიური მოსწრების გაუმჯობესება; საკონსულტაციო მომსახურებისა და ტუტორიალის მექანიზმების გააქტიურება</p>	<p>გაგრძელდეს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მაჩვენებლების მონიტორინგი; გაგრძელდეს ლექციებზე კოლეგიალური დასწრება და ყურადღება გამახვილდეს სტუდენტების აქტიურობაზე, განსაკუთრებით უცხო ენაში'; მოხდეს ტუტორიალის რეალურად ამოქმედება; სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ამაღლების და სილაბუსებთან თავსებადობის მიზნით, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ, მოხდეს შუალედური და ფინალური გამოცდების საკითხების მონიტორინგი; ინსტიტუციური ავტორიზაციისა და პროგრამული აკრედიტაციის მოთხოვნების შესაბამისად, მოხდეს ლაბორატორიებისა და კლინიკების ხელმძღვანელების მიერ ანგარიშების წარმოდგენა.</p>

			<p>გაგრძელდეს პროგრამების მონიტორინგი და მათი განვითარება მოთხოვნების შესაბამისად; პრაქტიკაში დაინერგოს საგანმანათლებლო პროგრამების კოლეგიალური ექსპერტიზა/შეფასება, როგორც ადგილობრივი სპეციალისტების, ასევე საერთაშორისო პარტნიორი უნივერსიტეტების წარმომადგენლების მიერ;</p> <p>შემუშავდეს ერთობლივი და ორმაგი დიპლომის საგანმანათლებლო პროგრამები;</p> <p>საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების დაცვებზე დაინერგოს გარედან მოწვეული პირის თავმჯდომარეობა;</p> <p>გაგრძელდეს გასვლითი ლექცია-სემინარების პრაქტიკა;</p> <p>გაგრძელდეს მუშაობა უნივერსიტეტში მაღალი სწავლის პოტენციალის მქონე აბიტურიენტებისა და მაგისტრანტობის კანდიდატების მოზიდვის კუთხით;</p> <p>ფაკულტეტებმა დაგეგმონ და განახორციელონ სათანადო ღონისძიებები როგორც საბაკალავრო, ისე სამაგისტრო საფეხურზე პროგრამის დასრულების მაჩვენებლის ამაღლების მიზნით.</p> <p>პრობლემების გამოვლენა, რეაგირების მექანიზმების შემუშავება; რეაგირების შედეგები უნივერსიტეტის მართვის ეფექტიანობის ნაგაუმჯობესების მიზნით, მოხდეს საქმის წარმოების გაციფრულება.</p> <p>განხორციელდეს პროგრამის პილოტირების რეჟიმში ამოქმედება, პრობლემების გამოვლენის და მათი აღმოფხვრის თვალსაზრისით.</p>
12	კანცელარიის სამსახური	არ იკვეთება	<p>მოხდეს დასაქმებულთა პირადი საქმეების განახლება, სრულყოფა, ყველა ხელშეკრულებაზე ხელმოწერა და მოხდეს დასაქმებულების სრული დოკუმენტაციის უწყურუნველყოფა როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული სახით;</p> <p>მოხდეს აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეების ფაკულტეტებისა და პროგრამების მიხედვით დიფერენცირება;</p> <p>გაგრძელდეს პერსონალის შეფასება გთუნში შემუშავებული ნორმატიული დოკუმენტების მიხედვით (აკადემიური და მოწვეული პერსონალის შერჩევის წესი; ადმინისტრაციული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი); მოხდეს შედეგების შეფასება და ქმედითი ღონისძიებების დასახვა;</p>
13	ადამიანური რესურსების მართვის სამსახური	დასაქმებულების პირადი საქმეების განახლება და სრულყოფა. პერსონალი მოტივაციის ასპექტების გამოყენების გაფართოება	<p>მოხდეს დასაქმებულთა პირადი საქმეების განახლება, სრულყოფა, ყველა ხელშეკრულებაზე ხელმოწერა და მოხდეს დასაქმებულების სრული დოკუმენტაციის უწყურუნველყოფა როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული სახით;</p> <p>მოხდეს აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეების ფაკულტეტებისა და პროგრამების მიხედვით დიფერენცირება;</p> <p>გაგრძელდეს პერსონალის შეფასება გთუნში შემუშავებული ნორმატიული დოკუმენტების მიხედვით (აკადემიური და მოწვეული პერსონალის შერჩევის წესი; ადმინისტრაციული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი); მოხდეს შედეგების შეფასება და ქმედითი ღონისძიებების დასახვა;</p>

		<p>გაფართოვდეს პერსონალის მოტივაციის ასპექტები, პერიოდის(ყოველი სემესტრის) ბოლოს მოხდეს მოტივაციის შედეგების წარმოდგენა</p> <p>გაგრძელდეს პერსონალის განვითარების/კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით განხორციელებული ღონისძიებების შედეგების შეჯამება;</p>
14	<p>პროფესიული განვითარების ცენტრი</p> <p>არ იკვეთება</p>	<p>სტრუქტურის ფუნქციონირებისათვის მოხდეს პროფესიული განვითარების ცენტრის ხელმძღვანელის დანიშვნა. განხორციელდეს პროფესიული განვითარების ცენტრის საქმიანობა, უნივერსიტეტში შემუშავებული უწყვეტი განათლების კონცეფციის მიხედვით;</p> <p>უცხო ენის დონის ამაღლებისათვის შეიქმნას და ამოქმედდეს უცხო ენის კურსები; აკადემიური პერსონალის უცხო ენის(ინგლისური, ჩინური, კორეული) ცოდნის დონის გაუმჯობესება; ამ მხრივ საჭიროა უნივერსიტეტის ხელშეწყობა პერსონალის ენის ცოდნის გაუმჯობესებაში;</p> <p>უნივერსიტეტის პროფესიული განვითარების ცენტრმა უწყვეტი განათლების უზრუნველსაყოფად, შეიმუშაოს გთუნის აკადემიური/მოწვეული პერსონალისათვის პროფესიული განვითარების/ტრენინგების პროგრამა.</p>
15	<p>ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური</p>	<p>ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურთან ერთად უზრუნველყოს უცხოური უნივერსიტეტების ხარისხის სამსახურებთან ჩართულობა,საუკეთესო პრაქტიკის საუნივერსიტეტოს ცხოვრებაში ადაპტირება;</p> <p>მოხდეს მონიტორინგის შედეგებზე რეაგირება; სამსახურების საქმიანობის გეგმების მონიტორინგი; ხარისხის სამსახურმა ყურადღება გაამახვილოს რეკომენდაციების შესრილების შედეგებზე, გაანალიზდეს შედეგები, რათა მიზანმიმართულად მოხდეს სამსახურების/სტრუქტურული ერთეულების მიერ მომდევნო წლის საქმიანობის გეგმების დაგეგმვა და განხორციელება, რაც ხელს სეუწყობს გთუნის სტრატეგიის სამოქმედო გეგმის წარმატებით შესრულებას.</p>

**გთუნის საქმიანობის ხარისხის სრულყოფისათვის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის რეკომენდაციები**

2022 წელს გთუნი-ში განხორციელდა მნიშვნელოვანი ინსტიტუციური ცვლილებები. საანალიზო პერიოდში ჩატარებულმა კვლევების შედეგად, გთუნის საქმიანობაში გამოვლინდა, როგორც ძლიერი, ასევე გასაუმჯობესებელი მხარეები.

**2022 წლის SWOT ანალიზი**

S -ძლიერი მხარეები	W-სუსტი მხარეები
<ul style="list-style-type: none"> <li>• ახალი დამფუძნებელი “ჩინეთის საერთაშორისო განათლების ჯგუფი”</li> <li>• სტუდენტზე ორიენტირებული ინოვაციური და მაღალხარისხიანი განათლება;</li> <li>• დაწესებულების 13 წლიანი გამოცდილება.</li> <li>• განახლებული ორგანიზაციული სტრუქტურა.</li> <li>• ხარისხის კულტურის განვითარება.</li> <li>• ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზარზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროგრამები;</li> <li>• მოდიფიცირებული HR პოლიტიკა;</li> <li>• დამსაქმებელთან მჭიდრო ურთიერთობა და პროცესებში უშუალო ჩართულობა</li> <li>• სტუდენტის მოთხოვნებზე მორგებული სერვისები</li> <li>• ახალგაზრდა კადრების მოზიდვა</li> <li>• შიდა საგრანტო პროექტები</li> <li>• ადგილობრივი და საერთაშორისო აქტივობები</li> <li>• კეთილმოწყობილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა</li> <li>• დამფუძნებლის მიერ ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფა</li> <li>• შრომის უსაფრთხოებისა და სამედიცინო დახმარების გამართული სისტემა;</li> <li>• შშმ პირებისთვის ადაპტირებული გარემო;</li> <li>• უნივერსიტეტის ცნობადობის მიერ განხორციელებული მარკეტინგული აქტივობები;</li> <li>• სტუდენტებისა და პერსონალის წახალისების ფორმების არსებობა</li> <li>• ახალგაზრდა პერსონალის კონტინგენტის არსებობა</li> <li>• მარალკვალიფიციური ადმინისტრაციული, დამხმარე, აკადემიური და მოწვეული პერსონალი;</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• მოდიფიცირებული მარეგულირებელი სისტემის პრაქტიკულად რეალიზაციის და შეფასების მცირე პერიოდი;</li> <li>• ერთობლივი და დუალ პროგრამების არ არსებობა;</li> <li>• ერთობლივი კვლევების არ არსებობა;</li> <li>• ინტერნაციონალიზაციის დაბალი მაჩვენებელი;</li> <li>• პერსონალის განვითარებაზე/კვალიფიკაციის ამაღლებაზე მიმართული აქტივობების (ტრენინგები, მასტერ კლასები, ენის კურსები) მცირე რაოდენობა;</li> <li>• შრომის შესაბამისი, შედეგიანობაზე დაფუძნებული შრომის ანაზღაურების და წახალისების სისტემა;</li> <li>• პერსონალის მოტივაციის ასპექტების არასაკმარისად გამოყენება;</li> <li>• საერთაშორისო პარტნიორების პოტენციალის არასაკმარისად გამოყენება, ზოგ შემთხვევაში კი ფორმალურად არსებობა;</li> <li>• ხარისხის შეფასების შედეგად მიღებული რეკომენდაციების განხორციელების შედეგების არ არსებობა;</li> <li>• პროფესიული განვითარების ცენტრის ფორმალურად არსებობა;</li> <li>• სტუდენტების მცირე კონტინგენტი</li> </ul>

<ul style="list-style-type: none"> <li>პრაქტიკული უნარების გამომუშავებაზე ლაბორატორიებისა და კლინიკების საქმიანობა;</li> <li>პარტნიორ ორგანიზაციებში გასვლითი ლექცია/სემინარების განხორციელება;</li> <li>შრომის ბაზარზე მორგებული საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები;</li> </ul>	
<b>O-შესაძლებლობები</b>	<b>T-საფრთხეები</b>
<ul style="list-style-type: none"> <li>მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება (შენობის მოდერნიზება; სპორტული დარბაზებისა და სტუდენტური სივრცეების დამატება, საერთო საცხოვრებლის მშენებლობა და სხვა)</li> <li>ახალი პროგრამების შემუშავება;</li> <li>პერსონალის მოტივაციის/წახალისების ასპექტების გაფართოება;</li> <li>ერთობლივი კვლევითი პროექტების განხორციელება;</li> <li>უნოვერსიტეტის ცნობადობის ამაღლების აქტივობების გაფართოება;</li> <li>სტუდენტთა აქტივობებისათვის მრავალფეროვანი ღონისძიებების შემუშავება;</li> <li>გასვლითი სემინარების რიცხვის გაზრდა;</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>საგანმანათლებლო ბაზარზე არსებული კონკურენციის ყოველწლიური ზრდა;</li> <li>აბიტურიენტთა რიცხვის შემცირება;</li> <li>ქვეყანაში არსებული ეკონომიკური, სოციალური და დემოგრაფიული ასპექტები</li> <li>პერსონალის აფილირებასთან დაკავშირებული შეზღუდვები;</li> <li>მაღალი ინფრასტრუქტურული ხარჯები;</li> <li>პერსონალის თვითგანვითარების არასაკმარისი დონე;</li> </ul>

გთუნ-ის საქმიანობის გაუმჯობესების, ავტორიზაციის სტანდარტების უზრუნველყოფისა და მდგრადობის უზრუნველსაყოფად, რეკომენდირებულია:

<b>1. მისია და სტრატეგიული განვითარება</b>
<ul style="list-style-type: none"> <li>სტრატეგიის მუდმივი გაუმჯობესება, პროცესების მართვის ბლოკ-სქემის PDCA-ს გამოყენებით; გეგმის შესრულების კონტროლი; მიმდინარე და შემაჯამებელი ანგარიშები; სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმებში ცვლილებების განხორციელება;</li> <li>სტრუქტურული ერთეულების პერიოდული შეფასება; ხარვეზების დროული აღმოფხვრა;</li> <li>გთუნის ვებ გვერდზე ინფორმაციის საჯაროობა და გამჭვირვალობა;</li> <li>სამოქმედო გეგმის კვარტალური მონიტორინგი;</li> <li>მართვის ეფექტიანობის პერმანენტულად შეფასება დაინტერესებული მხარეების კმაყოფილების კვლევის საფუძველზე;</li> <li>კალენდარული წლის SWOT ანალიზის გამოყენება გთუნ-ის საქმიანობის მუდმივი გაუმჯობესებისათვის; საგანმანათლებლო პროგრამების განათლებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების, მიმდინარე ტენდენციების შესწავლა;</li> <li>გთუნ-ში მიმდინარე ყველა პროცესზე ხარისხის მართვის სისტემის გავრცელება;</li> <li>ხარისხის შიდა შეფასების გამოყენებით ყოველწლიური თვითშეფასება, რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლების შესწავლა, კორექტირება რეკომენდაციების შემუშავება; რეკომენდაციების განხორციელების შედეგების დაინტერესებული მხარეებისათვის გაცნობა;</li> </ul>
<b>2. ორგანიზაციული სტრუქტურა; მართვა; ეთიკა; ხარისხის უზრუნველყოფა</b>



- გთუნის და სტრუქტურული ერთეულების მიმდინარე გეგმების შესრულება, შესრულების შედეგების საფუძველზე საჭირო ცვლილებების განხორციელება;
- სამოქმედო გეგმასთან კვარტალური შესრულების მონიტორინგი; სტრუქტურული ერთეულების საქიანობის გეგმასთან შედარება. შეფასება, კორექტივები(I და IIკვარტალი; III და IV კვარტალი);
- ხარისხის მართვის სისტემის ეფექტიანობის უზრუნველყოფა( სტრუქტურული ერთეულების საქიანობის და სამოქმედო გეგმის შესრულების ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად, რეკომენდაციების განხორციელება და მათი შედეგები; აღნიშნული პროცესის კონტროლი;
- სტრუქტურული ერთეულების საქიანობის გეგმის ვადების დაცვა და კონტროლი;
- ხარისხის შიდა შეფასების შედეგების საფუძველზე, მომდევნო კალენდარული წლის საქმომედო გეგმისა და სტრუქტურული ერთეულების საქიანობის გეგმების შემუშავება;

### 3. საგანმანათლებლო პროგრამები

- პროგრამების განვითარებისათვის პროგრამის განხორციელების აქტივობების პროგრამულ ბიუჯეტთან რელევანტურობა, პროგრამული ბიუჯეტის განხორციელების კონტროლი, გადახრების აღმოფხვრა და მისი საკმარისობის უზრუნველყოფა;
- პროგრამების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველყოფა; შიდა და გარე შეფასებების შედეგად მიღებული რეკომენდაციების პროგრამებში ასახვა; შრომის ბაზრის ტენდენციების გათვალისწინება; ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსტან პროგრამების შესაბამისობაში მოყვანა; დაინტერესებული მხარეების გამოკითხვები, ანალიზი, რეკომენდაციების შემუშავება, უკუკავშირი(რეკომენდაციების შედეგები);
- ბენჩმარკინგის პერმანენტულად განხორციელება და საუკეთესო გამოცდილების პროგრამებში ასახვა; ევროპის საგანმანათლებლო სივრცეში არსებული ტენდენციებიუს გათვალისწინება;
- პროგრამებში შიდა ადა გარე შეფასებების შედეგად ცვლილებების დაინტერესებულ მხარეებისათვის გაცნობა;
- ევროპულ და ადგილობრივ საგანმანათლებლო სივრცეში მიმდინარე პროცესების, ცვლილებების დაინტერესებული მხარეებისათვის გაცნობა; ტრენინგების. საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება/არსებული პრაქტიკის გაგძელება;

### 4. პერსონალი

- მართვის ეფექტიანობის სრულყოფა; კორპორატიული კულტურის განვითარება; გთუნის მდგრადობის უზრუნველსაყოფად ფასეულობების სრულყოფა/განვითარება(არსებული ფასეულობების შენარჩუნება/პატივისცემა და ახალი ფასეულობების შექმნა); კონკურენტული პრიორიტეტების შენარჩუნება და ახალი კონკურენტული უნარების შექმნა;
- დასაქმებულთა შრომითი ურთიერთობების დახვეწა, უფლებამოსილების, ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობების გამჭვირვალობა; პერსონალის განვითარების პოლიტიკის განხორციელების უზრუნველყოფა; პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებებისა და სხვადასხვა სამოტივაციო ასპექტების გამოყენების გაუმჯობესება;

- კადრების შენარჩუნების სისტემის დახვეწა; ახალგაზრდა კადრების აღზრდა - გთუნის საქმიანობაში ახალგაზრდების ჩართულობის ამაღლება(სტაჟირება, დროებითი სამუშაოების შესრულება);
- გთუნის საქმიანობაში ადამიანური რესურსების საკმარისობის შესწავლა და სტრუქტურულ ერთეულებთან ერთად მათი რაოდენობის განსაზღვრა;
- ადმინისტრაციული, აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება; რეკომენდაციების შემუშავება; შეფასების შედეგების დაინტერესებული მხარეებისთვის გაცნობა; რეკომენდაციების განხორციელების შედეგები;
- პერსონალის კმაყოფილების კვლევა; პრობლემების გამოვლენა; რეაგირების მექანიზმების შემუშავება, მათი განხორციელება და შედეგები;

#### **5. სტუდენტებთან ურთიერთობა, კარიერის მართვა და მათი მხარდაჭერის მექანიზმები**

- სტუდენტებთან ურთიერთობის მექანიზმების გაუმჯობესება; სტუდენტური სერვისების გაფართოება;
- სტუდენტთა კვლევითი. პრაქტიკული, შემოქმედებითი საქმიანობის გაფართოება;
- სტუდენტთა ინტერესების შესწავლა და მათ მიხედვით კალენდარული წლის აქმიანობის გეგმის შემუშავება;
- პარტნიორ უნივერსიტეტებთან სტუდენტური აქტივობების ზრდა;
- სტუდენტთა (მ.შ. მაღალი აკადემიური მოსწრების) წახალისებისა და მხარდაჭერის მექანიზმების დახვეწა;
- სსმ სტუდენტთა ხელშეწყობის არსებული მექანიზმების დახვეწა/ გაფართოება;
- კურსდამთავრებულთა დასაქმების მექანიზმების გაუმჯობესება; კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა პერმანენტული გამოკითხვა; კმაყოფილების კვლევა; დასაქმებულთა დინამიკის შესწავლა და ქმედითი ღონისძიებების გატარება;

#### **6. კვლევა, ინტერნაციონალიზაცია შემოქმედებითი საქმიანობა**

- კვლევების ყველა მიმართულებით წახალისება
- სტუდენტთა ყოველწლიური კონფერენციების(ადგილობრივი, რეგიონული, საერთაშორისო) ჩატარება;
- აკადემიური პერსონალის ჩართულობით, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების ჩატარება; უცხოელ და ადგილობრივ მეცნიერთა გამოცდილების გაზიარება;
- კვლევითი პროექტების დაგეგმა და განხორციელება;
- სტუდენტთა გაცვლით პროექტებში/პროგრამებში ჩართულობის ზრდა;
- აკადემიური პერსონალის გაცვლით პროექტებში ჩართულობის ზრდა
- აკადემიური პერსონალის მიერ საერთაშორისო სამეცნიერო გამოცემებში ნაშრომების გამოქვეყნების წახალისება;
- სტუდენტების კნაყოფილების კვლევა; ანალიზი, რეკომენდაციების შემუშავება; კვლევის შედეგების დაინტერესებული მხარეებისთვის გაცნობა; რეკომენდაციების განხორციელების შედეგები;
- აკადემიური პერსონალის კმაყოფილების კვლევა; ანალიზი, რეკომენდაციების შემუშავება; კვლევის შედეგების დაინტერესებული მხარეებისთვის გაცნობა; რეკომენდაციების განხორციელების შედეგები;

## 7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

### ინფრასტრუქტურა

- ტექნიკური დოკუმენტაციის შესწავლა; ახალი დოკუმენტაციის/ხელშეკრულებების დადება/შემუშავება;
- ინვეტარიზაციის სისტემატიურად განხორციელება;
- გთუნ-ის საქმიანობის ეფექტიანად განხორციელების მიზნით, მატერიალური რესურსების დადგენილ მოთხოვნებთან და სტანდარტებთან შესაბამისობის კონტროლი, აღრიცხვა;

**საბიბლიოთეკო რესურსები**

- საბიბლიოთეკო ფონდის მუდმივი შევსება/განახლება;
- ელექტრონული სამეცნიერო ბაზების გაფართოება; მათი გამოყენების შესახება ტერენინგების ჩატარება;
- ელექტრონული კატალოგის სრულყოფა;
- სტუდენტების/პერსონალის კვლავოფილების კვლევა; რეკომენდაციების შემუშავება; დაინტერესებული მხარეებისთვის კვლევის შედეგების გაცნობა; რეკომენდაციების განხორციელების შედეგები;

**IT ტექნოლოგიები**

- IT სამსახურში სპეციალისტის დამატება;
- არსებული ტექნოლოგიური პარკის მოდერნიზება/განახლება;
- საფინანსო სამსახურთან ერთად მომავლის შესყიდვების დაგეგმვა;
- შიდა საკომუნიკაციო ქსელის გამართულად მუშაობა;
- Wi-Fi-ს უნივერსიტეტის მთელს ტერიტორიაზე უზრუნველყოფა;
- დაინტერესებული მხარის კმაყოფილების კვლევა; რეკომენდაციების შემუშავება; შედეგების გაცნობა; ცვლილებების განხორციელება


**ბიუჯეტი**

- ყოველწლიური აუდიტის ჩატარება;
- სტრუქტურული ერთეულების/სამსახურების საქმიანობის გეგმის მიხედვით ვალიდური ბიუჯეტის შემუშავება;

ვიცე რექტორი,

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი:

ლალი ჩაგელიშვილი-აგლაძე



29.12.2022